




2021

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გეომედი ლაიფი Geomedi Life



№1 2020 წელი უნივერსიტეტ გეომედის ყოველკვარტალური გაზეთი
ს ა ი უ ბ ი ლ ე ო გ ა მ ო ც ე მ ა



ძვირფასო სტუდენტებო !

**უნივერსიტეტ გეომედის პროფესორ მასწავლებლების
და პირადად ჩემი სახელით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს.
ვისურვებთ წარმატებებს სწავლასა და პირად ცხოვრებაში.
პროფესორი, რექტორი: მარინა ფირცხალავა**

ამაყი და მოხარული ვარ, რომ მაქვს შესაძლებლობა ჩემს უნივერსიტეტს მივეულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი. თუმცა, რთული აღმოჩნდა რამდენიმე წინადადებით გამომეხატა ის მადლიერება, რასაც სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული გუნდის მიმართ ვგრძობ. მათი დიდი დამსახურებაა გქონდეს შანსი მიიღო საუკეთესო ცოდნა-განათლება, ხოლო პარალელურად უბრალო სტუდენტი თავს გრძნობდეს უნივერსიტეტის ნაწილად, სადაც ხელს უწყობენ შენს პიროვნულ და პროფესიულ ზრდას.

ვფიქრობ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ჰყავდეს კურსდამთავრებულები, რომელთაც შესწევთ უნარი „სინათლე შეიტანონ“ საზოგადოებაში. დარწმუნებული ვარ, ისინი არიან უნივერსიტეტ გეომედის წარმატების და აღიარების მთავარი ძალა. სწორედ ამ მიზეზით „გეომედს“, როგორც მულტიკულტურულ უნივერსიტეტს, სადაც პრიორიტეტულია ადამიანური ღირებულებები და პროფესიონალიზმი, ვუსურვებ შენარჩუნების არსებული მეგობრული გარემო, განვითარების კენ სწრაფვა და გამოირჩეოდეს იმ სტუდენტთა სიუხვით, რომლებიც უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნა-განათლებას ქვეყნის სასიკეთოდ გამოიყენებენ.

ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის კურსდამთავრებული,
ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკის ხარისხის კონტროლისა და
პაციენტთა უსაფრთხოების სპეციალისტი

ნინო ჯაბლაძე

მინდა მივეულოცო უნივერსიტეტ გეომედს დამდეგი შობა-ახალი წელი და მადლობა გადავუხადო, რომ ემსახურება ისეთ მნიშვნელოვან საქმეს, როგორიცაა პროფესიონალი და კვალიფიციური ექიმების აღზრდა, რომლებიც ცდილობენ სამყაროში ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულების-ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას.

უსაზღვროდ მიხარია, რომ დღეს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტი ვარ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო უნივერსიტეტის რექტორს, ადმინისტრაციას, პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც თავდაუზოგავად ცდილობენ ცოდნა და გამოცდილება გაგვიზიარონ, დაგვეხმარონ და ხელი შეგვიწყონ განვითარებაში. მათი დამსახურებაა ჩემი ყველა წარმატება. ამჟამად ვმუშაობ კლინიკა მედიკონში. მადლობა სასწავლო უნივერსიტეტ გეომედს, რომ მომცა შესაძლებლობა მიმეღწია ამ წარმატებისთვის.

მედიცინის ფაკულტეტის მე-7 სემესტრის სტუდენტი
აკაკი კირჩხელი

უნივერსიტეტ გეომედში ჩავაბარე სამი წლის წინ. მალევე მივხვდი, რომ უნივერსიტეტში მართლაც ზრუნავენ თითოეულ სტუდენტზე და ცდილობენ შექმნან ღირსეული გარემო კვალიფიციური განათლების მისაღებად.

უნივერსიტეტმა გეომედმა ხელი შეუწყო ჩემს შემდგომ დასაქმებას და კარიერულ წინსვლას. დღესდღეობით მე გეომედის ბაზაზე დაარსებული საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკის ფიზიკური თერაპევტი ვარ და უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნა-განათლებას ადამიანებისთვის ჯანმრთელობის და კეთილდღეობის შენარჩუნებისთვის ვიყენებ.

ველოცავ უნივერსიტეტს დამდეგ შობა-ახალ წელს. ვუსურვებ ბევრ წარმატებულ სტუდენტს, რომლებიც ღირსეულად ატარებენ ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის სტატუსს.

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრატურის
კურსდამთავრებული,
გეომედის საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკის ფიზიკური
თერაპევტი

თამარ ბერდელიძე

მას შემდეგ 14 წელი გავიდა, რაც პირველად შევაბიჯე უნივერსიტეტ გეომედში. პირველივე დღეს მივხვდი, რომ ეს იყო უდიდესი წარმატების საწყისი პროფესიულ საქმიანობაში. უნივერსიტეტი ქმნის შესაძლებლობას, მიიღო კვალიფიციური ცოდნა-განათლება და გახდე წარმატებული პროფესიონალი.

ველოცავ უნივერსიტეტ გეომედს დამდეგ შობა-ახალ წელს. მადლობას გადავუხადი რექტორს, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს უნივერსიტეტში გატარებული თითოეული დღისთვის. ვუსურვებ წარმატებას ყველა საქმიანობაში, ნათელ, პოზიტიურ მომავალს და ბევრ წარმატებულ კურსდამთავრებულს.

პატივისცემით,
სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული,
გეომედის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის მთავარი ექიმი
გიორგი მოდებაძე

2020 წლის 17 დეკემბერს უნივერსიტეტ გეომედში გაიმართა სტუდენტური თეორიულ-პრაქტიკული ონლაინ კონფერენცია თემაზე: „მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები“. სტუდენტების მიერ წარმოდგენილი იყო 10 ნაშრომი. ჟიურის მიერ გამოვლინდა შემდეგი გამარჯვებული სტუდენტები:


I ადგილი - ნანა თევდორაშვილი. სტომატოლოგიის ფაკულტეტი, IV კურსი.

II ადგილი - ლიზა თაბაგარი. სტომატოლოგიის ფაკულტეტი, II კურსი.

III ადგილი - Bhaktimala Suresh. მედიცინის ფაკულტეტი, V კურსი (IX სემესტრი).

ჟიურის სიმპათია - Shivansh. მედიცინის ფაკულტეტი, V კურსი (IX სემესტრი.)

მონაწილე სტუდენტებს გადაეცათ სერთიფიკატები. გამარჯვებულ სტუდენტებს დაენიშნათ სტიპენდია ერთი წლის განმავლობაში.



ნიკოლოზობა წელიწადში ორჯერ აღინიშნება. 19 დეკემბერი – წმიდა ნიკოლოზის ხსენების, 22 მაისი კი წმინდა ნაწილების მირონიდან ბარში გადასვენების დღეა. წმინდა ნიკოლოზის ცხოვრება სასწაულებითაა აღსავსე. მართლმადიდებლები მას შეწვევისათვის ყოველგვარი გასაჭირის უამს მიმართავენ და ისიც მსწრაფლ შეეწევა ხოლმე

მათ. წმინდა ნიკოლოზი სასწაულოთმოქმედი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მფარველად მას შემდეგ ითვლება, რაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა წმიდანს ქართული ეკლესია შეავედრა.

ტროპარი: კანონად სარწმუნოებისა და ხატად სიმშვიდისა, და მოძღვრად მარხვისა გყო შენ ქრისტემან, სამწყსოსა შენისათვის ჭეშმარიტებით, ამისთვისცა მოიგე სიმდაბლითა სიმაღლე და სიგლახაკითა სიმდიდრე, წმიდაო მღვდელთმთავარო ნიკოლოზ, ევედრე ქრისტესაღმერთსა შენყალებად სულთა ჩვენთათვის.



ბარბარობა ქრისტიანული დღესასწაულია და 17(4) დეკემბერს აღინიშნება. ფინიკიის ქ. ილიოპოლისის მდიდარი და წარჩინებული მოქალაქის, დიოსკორეს მშვენიერი ქალიშვილი ბარბარე (შემდგომში წმინდა დიდმოწამედ ცნობილი) იმპერატორ მაქსიმიანეს დროს

(305 -311 წწ.) ცხოვრობდა და ეწამა. ქრისტიანული სარწმუნოების მიღების შემდეგ მას საკუთარმა მამამ თავი მოკვეთა. ამის შემდეგ დიოსკორეს საშინელი ცეცხლი მოეწვინა ციდან და ერთიანად დაწვა.

წმინდა ბარბარეს ნაწილებზე მრავალ ქვეყანაში აიგო ტაძარი. ბარბარობის დღესასწაული ბავშვთა ინფექციურ დაავადებებთანაა დაკავშირებული. წმინდა ბარბარეს ბავშვთა მფარველად და შემწედ მიიჩნევენ.

ტროპარი: ქალწულებითა განშვენებულო და წამებითა გაბრწყინებულო, სასწაულთა მოქმედო, სენთა და ბუკრთა მკურნალო, დიდო ქალწულმონაშეო ბარბარე, მეოხ გვეყავ ჩუენ ცოდვილთა.



ძვირფასო სტუდენტებო და თანამშრომლებო, მოყვარულთა კლუბი. მასში განვერიანება შეუძლია პერსონალს. კლუბი მიზნად ისახავს მსოფლიო ბიოგრაფიების და ა.შ. წაკითხვას, გაცნობას, თვეში



მოგახსენებთ, რომ უნივერსიტეტში დაფუძნდა ლიტერატურის ყველა მსურველს: სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ ბესტსელერების, ახალი ქართული გამოცემების, საინტერესო ერთხელ ონლაინ შეკრებას და წაკითხულის განხილვას.



გეომედში მოხვედრა არის დიდი ცხოვება, აქ ხომ ყველას ჯობია სტუდენტური ცხოვრება. ყველაფერს რომ ასწრებ, სწავლაა თუ გართობა გეომედის სტუდენტებმა სულ არ ვიცით დათმობა.

ჩვენ ვამაყობთ ყველაფრით, ლექტორით თუ სტუდენტით, ყველაფერი რომ ვიცით დაწყებული უჯრედით. გარემოა საამური, ცაში ფრინავს გელი, გეომედში ვინც მოხვდება მას ჰქონია ბელი.

აქ შემოსვლას არ სჭირდება ბილეთი და გიდი, უნი არის საყვარელი არც თუ ისე დიდი. დახმარებაც არ გჭირდება რუკისა და გიდის ყველა გზა ხომ საბოლოოდ გეომედში მიდის.

სტუდენტი, თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი: ნიკოლოზ მოღებაძე



უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტური თვითმმართველობა მუდმივად ცდილობს სტუდენტების ცხოვრება მეტად მრავალფეროვანი და საინტერესო გახადოს. თვითმმართველობის საქმიანობა მოიცავს შემდეგ სფეროებს: სპორტი, კულტურა, ტურიზმი, სამეცნიერო კონფერენციები, კვლევები და სხვა. გარდა შიდა აქტივობებისა, თვითმმართველობა მაქსიმალურად უწყობს ხელს სტუდენტების ჩართვას გარე აქტივობებში.

ქვეყანაში არსებული პანდემიის და შეზღუდვების გამო, უნივერსიტეტი გადასულია დისტანციურ სწავლებაზე. მიუხედავად ამისა, თვითმმართველობამ მაინც გამოახა გზა იმისათვის, რათა სტუდენტური ცხოვრება და აქტივობა არ შეჩერებულიყო. ამის მაგალითია დისტანციურ რეჟიმში ჩატარებული შემდეგი აქტივობები:

- სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია;
- უნივერსიტეტის შიდა ჩემპიონატი ჭადრაკში;
- ინტელექტუალური თამაში: რა? სად? როდის?;
- ონლაინ თამაშები;
- COVID-19 ინფექციის მართვის თემატური ტრენინგები.

2020 წლის 19 ნოემბერს ჭადრაკში ჩატარებული შიდა საუნივერსიტეტო ონლაინ ჩემპიონატის შედეგად გამოვლინდნენ შემდეგი გამარჯვებულები:

- I ადგილი -ანანდ აჩარია
- II ადგილი-ვიას დეეჰ
- III ადგილი-პანკილ პარიხ

გამარჯვებულებს გადაეცათ სერთიფიკატები.

პანდემიის დროს, ასევე, მოხდა სტუდენტების დასაქმება, მათივე სურვილით, სხვადასხვა სამედიცინო კლინიკებში, რათა მეტი გამოცდილება მიეღოთ და ნებისმიერ სიტუაციაში მზად ყოფილიყვნენ გამოწვევებისთვის.

პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების მოხსნის შემდგომ პერიოდში, თვითმმართველობა გეგმავს ჩვეულ აქტიურ რეჟიმში გადასვლას და თავისი საქმიანობის და მოვალეობის შესრულებას.

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი: **სერგი იმედაშვილი**



2021

Merry Christmas and Happy New Year!

გეომედი ლიზი Geomedi Life



№1 2020 year

University Geomedi Quarterly Newspaper
Anniversary Edition



Currently I am a student of 9th semester of the MD Medicine program. When I first came to the university I wanted to become a part of the community here. Because of administration and academic staff's generosity and support, my aspirations have been fulfilled. Thank you for providing us great opportunities during these years.

The University Geomedi allows me to get a high quality education. I know that what I learn here will help me build a successful career.

Along with my studies, I am actively involved in student life. I can participate in the great varieties of activities and events, which is organized by the university.

I have met amazing people. Thank you once again for your support. I am deeply grateful to be a part of the Geomedi University.

I would like to congratulate my university on its anniversary. I wish them success and exciting future.

Gratefully,
Ashok Bhaskar

5th Year, 9th Semester

Celebrating Anniversary Of Teaching University Geomedi

Allow me to join the flow of congratulations especially to the Rector of Geomedi University, Professor Marina Pirtskhalava. Thanks to their passion, efforts and belief in vitality of the Geomedi University they made their visions a reality. These years were full of transformative ideas and achievements that continues to grow and benefit the Students. Once again I would like to congratulate the whole Geomedi community on their progress and I would like to wish all success in the future.

Wishing you all the best in the years ahead.

Vinay Arya

5th Year, 9th Semester

Anniversary of Teaching University of Geomedi

It is a great honour for me to congratulate Rector, Professor Marina Pirtskhalava, the university and all the faculties on this wonderful day (anniversary). I would like to wish the university team progress and development, many successful students, who will have a positive impact on the future. The environment in the university, the quality of teaching allows us to achieve the desired goals. The university makes a significant contribution to the formation of knowledgeable medical staff. I am sure all this will continue and the university will achieve more success.

A Very Happy and Hearty wishes for the upcoming years!!!!

Vibisha Vinoj

9th Semester , 5th Year

Congratulations Geomedi on your well-deserved success and for completing many years in medical expertise!

After doing a lot of research I decided to go in Geomedi University- which was the best decision of my life so far. Time goes by, it has been 5 years now and I've learned in Geomedi so much from the experiences and challenges. Teaching University Geomedi is a pioneer in terms of teaching quality and model. Its teaching model goes beyond classroom education to provide holistic learning to students and quality professional education. In addition, we feel that the university administration, the lecturers care about us. Even during the time of COVID the university facilitated my flight from India to Georgia and provide safe environment for all students. In my humble opinion Geomedi University is one of the best. Congratulations once again and I want to wish it a succesful future.

Darshani Kaul

5 th Year, 9th Semester



On December 17, 2020, Teaching University Geomedi held Student's Theoretical-Practical Online Conference on the topic: "Modern Issues in Medicine and Management". Ten work were represented by students. The following winner students were identified by the jury:

I place -Nana Tevdorashvili - Stomatology, IV course.

II place - Liza Tabagari - Stomatology, II course.

III place - Bhaktimala Suresh - Medicine, V course, (IX semester)

Jury sympathy – Shivansh - Medicine, V course, (IX semester)

Participating students were gifted with certificates. The winners were awarded a scholarship for one year.



Dear students and co-workers, I would like to inform you
Everyone can join it: students, academic and administration
bestsellers, new Georgian editions, interesting biographies



that the club of literature lovers was founded at the university.
personnel. Club is intentioned to read and introduce worldwide
and so on, online meetings once in a month and discussions.



University student self-government always strives to make students lives more diverse and interesting. The activities of the self-government include the following areas: sports, culture, tourism, scientific conferences, researches and other. In addition to internal activities, the self-government tries to involve students in outdoor activities. Due to the pandemic and restrictions in the country, the university has moved to distance learning. Nevertheless, the self-government still found a way to ensure that student life should not stopped.

The following activities were carried out remotely:

- University indoor Chess Championship
- Intellectual game: What? Where? When?
- Online games
- Thematic trainings about Covid 19 infection management.

On November 19, 2020 was held Online Chess Championship. The places were as follows:

- Anand Acharya - I place
- Vyas Deep - II place
- Pankil Parikh- III place

Students were gifted with certificates.

During the pandemic students were voluntarily employed at various medical clinics to gain more experience and be prepared for challenges in any situation.

After the pandemic is over, the self-government will continue to perform its activities and duties in its usual active mode.

President of student self-government: **Sergi Imedashvili**



With the organization and support of the University Geomedi, it has become a tradition to celebrate Diwali every year. Diwali -the festival of light is one of the most important religious holidays in India. During the event, Indian and Georgian Students representing their country's culture, traditional dances and songs. Despite pandemic, in compliance with all the rules of the regulation, on November 14 2020, a party dedicated to the Diwali was held in Mtatsminda Park, where various numbers of artistic acts were performed. At the end of the event the guests enjoyed a fantastic firework show.